



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი
(თიშრეი)
№13 (371)
(5772)
2012

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

დსრკაქლიშ მთავრობის მეთ- აშრის მიღწევა ქართულ მხრეებთან ჯამათებთან

იერუსალიმი, ელულის 23
2012 წლის 10 სექტემბერი

**მეგობრებო,
ქართველ ებრაელთა
ჯამათებთან წავრავო
ისრაელსა და
მსოფლიოში**



მოგილოცავთ დამდეგ ახალ
წელიწადს და გისურვებთ თქ-
ვენი მშვენიერი ტრადიციები გადასცეთ მომავალ თაობებს.

ბოლო წლებში საქართველოს ებრაელობა იქცა ებრაული
სამყაროს ერთ-ერთ მოწინავე და აქტიურ ჯამათად. თქვენ-
მა ზრუნვამ მომავალი თაობების აღსაზრდელად და თქვენი
თემის ისტორიისა და სულიერი მემკვიდრეობის ღრმად შეს-
წავლამ ხელახალი წინსვლა მისცა მთელ ქართველ ებრაე-
ლობას მსოფლიოში.

თქვენი თემის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანია ისრაელის
სახელმწიფოსთან ძალზე მჭიდრო და მტკიცე კავშირი. ეს
კავშირი მართლ თქვენთვის როდია მნიშვნელოვანი, იგი მნიშ-
ვნელოვანია ისრაელის საზოგადოებისა და ისრაელის სასე-
ლმწიფოსათვის. რამდენადაც თქვენი თემის წარმომადგენლებს
ვიცნობ, მე ვიცი, რომ განაგრძობთ ამ კავშირის განმტკიცებას
და ამისათვის ხართ ღირსი დალოცვისა და დაფასებისა.

ყოველ ქართველ ებრაელს, ისრაელსა და მთელ მსოფლ-
ოში ვუსურვებ კარგ წელიწადს, პირადი და ეროვნული
წინსვლის წელიწადს, თქვენი ნატვრისა და სურვილების
სასიკეთოდ აღსრულებას.

დალოცვილი იყავით
ბენიამინ ნეთანიასჰუ

მრავალ რეზ-განხანას, მეგობრობიანს და გმადნიერს

ძვირფასო თანამემამულენო,
გავიდა 5772 ებრაული წელი და
სულ მალე შემობრძანდება
ახალი, 5773. ყოველი წელი
გვაყენებს ახალ-ახალი გამოც-
დის წინაშე.



ებრაელი კაცი ცნობილი იყო
გამჩენის დიდი სიყვარულითა
და სიხალისი დაუთკებელი ძიებით.
ამან მოგვიყვანა ჩვენ თანამედროვე
განვითარების დონეზე. როშ-ჰ
აშანის წინ ყოველი ჩვენგანი

შეეცდება თვალი გადაავლოს და შეაჯამოს განვლილი წლის
შედეგები, რა სიხალე შევქმენით, რა სიკეთე მოვუტანეთ თქ-
ვას, მეგობრებს, საზოგადოებას, ჩვენს სამშობლო ისრაელს.

უნდა მოგანსენოთ, რომ საქართველოს ებრაელობას წელს
ნამდვილად ჰქონდა სიამაყის გამოხატვის უფლება, რადგან
ჩვენი თემიდან გამოსული „18 ოჯახის“ გმირობის ამბავი
პირველად შედის ისრაელის საშუალო სკოლის
სახელმწიფოებში.

კონგრესის მუშაობის მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს ჩვენი
ჯამათების გაძლიერება, ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაზე
ზრუნვა, ხელმოკლე ოჯახებზე დახმარება. ეს ტრადიცია
მივიღეთ ჩვენი მამა-პაპისაგან და მოვალენი ვართ გადავცეთ
მომავალ თაობებს.

კონგრესის ხელმძღვანელობაში გაერთიანებულია და ჩვენს
მხარდამხარ მოღვაწეობს მრავალი სახელოვანი ჩვენი
მამულიშვილი, ყოველი მათგანის სახელით მოგილოცავთ
მომავალ დიდ დღესასწაულებს!

მსურს გისურვოთ ჯანმრთელობა, სიხარული, აყვავება და
ოჯახების გამრავლება! დაე, მომავალ წელს ებრაელი ერისა
და მთელი მსოფლიოსათვის მოეტანოს სანატრელი მშვიდობა!

შანა ტოვა!

ვაზრეილ მირილავშილი
საქართველოს ებრაელთა
მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი



Ministry of Foreign Affairs
Jerusalem
Spokesperson's Bureau

משרד החוץ
ירושלים
לשכת הדובר



ירושלים, 3 באוקטובר 2012

ישראל מברכת את גאורגია

ישראל מברכת את הממשלה והעם הגאורגי על תהליך הבחירות הדמוקרטיות והחופשיות
שהתקיימו במדינה, ושזכה גם לשבחם מצד משקיפי אבשי"א ("ההארגון לבטחון ושות'")
באירופה".

ישראל מברכת את הנשיא מיכאיל სააკაშვილი (MIKHEIL SAAKASHVILI) על
תרומתו הגדולה לדמוקרטיה בגאורגია, ומברכת את מנהיגי מפלגת "החלום הגאורגי",
בדבריהם איוואნიשוვილი (BIDZINA IVANISHVILI), על הישגיהם מפלגתו בבחירות.
ישראל לחיובית תומכת בהחלטה של הוועדה ה-1377 המוצהלת את גאורגיה וישראל,
שיבטיח את הממשלה והחוקים של היחסים הטובים בין שתי המדינות ועמיהן.

Jerusalem, October 3, 2012

**ისრაელი საქართველოს მთავრობასა და ხალხს
ულოცავს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების
ჩატარებას, რომლის მომენივც რამდენიმე დღის წინ
გავხდით და რომელმაც უთოს დამკვირვებლების
მოწონება დაიმსახურა.**

ისრაელის სახელმწიფო უაღრესად დადებითად აფასებს პრე-
ზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ დემოკრატიის განვითარებაში
შეტანილ წვლილს და ულოცავს კოალიცია „ქართული ოცნების“
ლიდერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვებას.
ისრაელის მიზანი შესანიშნავი ორმხრივი ურთიერთობის გა-
ძლიერებაა, როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივ დონე-
ზე.

იერუსალიმი, 3 ოქტომბერი, 2012

რედაქტორის გვირგვინი

სასახლლო მიმოხილვა

აჰა, მოვიდა, დადგა რომ ჰა შანა — სამყაროს შექმნიდან 5773-ე წელი. კიდევ ერთხელ მივულოცოთ ჩვენს მკითხველს, ვისურვოთ, რომ ებრაული კალენდრის ეს ახალი წელიწადი ყოფილიყოს ფეხბედნიერი. ისრაელის მრავალტანჯულ მინაზე დასადგურებულის მტკიცე მშვიდობა. ამ ქვეყნისათვის მშვიდობა ყველაზე უფრო სანუკვარი გახლავთ. თუ ისრაელის მოსახლეობას ეს ოცნება აუხდება და, ღვთის წყალობით, უნდა აუხდეს, იგი ყოველ ცხოვრებისეულ სირთულეს სძლევს — შექმნის კიდევ უფრო მტკიცე ეკონომიკას.

საქართველოს ებრაელობა ქართულ მინაზე რომ ჰა შანას მშვიდობიანი ყოფის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, საპარლამენტო არჩევნების უდრტივნივლად ჩატარების სურვილით და იმედიტ შეეგება. ქართული შემოდგომის სიუხვე ფეხის ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა. მართალია, იმის გამო, რომ ისტორიულ სამშობლოს უბრუნდებიან, თბილისში ებრაელობა ერთობ შეთხელდა, მაგრამ დიდ ბაზარში თევზის თავს მაინც ვერ იშოვიდით — თევზით მოვაჭრენი კითხვან: „თევზის თავი თუ გაქვთ?“ მოგიგებდნენ: „დღეს ებრაელების ახალი წელია, დილიდანვე წაიღეს“. ამიტომ ბაზარში მისული ებრაელები მთლიან თევზს ყიდულობდნენ, რომ სარომშაშანო სუფრაზე თევზის თავს კუთვნილი ადგილი დაეკავებინა.

თუ ბაზარსა და ქუჩებში იგრძნობა, რომ ებრაელობა ერთობ შემცირდა, სალამოს ბეით ქნესეთში ასეთი შთაბეჭდილება არ დაგრჩებოდა — მინის შემდეგ როგორც ერთი, ისე მეორე — როგორც ე.წ. ახალციხელების, ისე აშქენაზების ბეით ქნესეთები ხალხით ისე გაივსო, დასადგომი ადგილიც კი ჭირდა. სასიამოვნო გახლდათ ის, რომ ბეით ქნესეთში არა მხოლოდ ახალი სახეები, ახალგაზრდობა სჭარბობდა. ეს ახალი სახეები უცხონი არ გეგონოთ, ესენიც თბილისელები გახლდნენ — თბილისის ებრაელობა.

ახალი წლის შემობრძანების სალამოს გარკვეულწილად იგრძნობოდა, გასულ წელს თუ რა ცვლილებები განიცადა ჯამაათის შემადგენლობამ (მლოცველთა შორის რამდენიმე ღირსეული სახე აღარ ჩანდა — სხვა, მარადიულ სამყაროში გადაინაცვლეს. ჯამაათის ბევრი წევრი მოისაკლისებდა გარდასულთა სახეებს), რაოდენ დიდი უნებთაღელვის მოწმე, მონაწილე იყო ჯამაათი უახლოეს თვეებში: დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს მთავარი რაბინის პოსტი დატოვა არიელ ლევინი. ადამიანმა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ებრაული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. თუ დღეს ვამბობთ, რომ ბეით ქნესეთი სავსე იყო, თუ მლოცველთა შორის ბევრი ახალი თაობის ადამიანი გახლდათ, ეს სწორედ არიელ ლევინის დამსახურებაა. მან, მის მიერ დაარსებულმა ებრაულმა სკოლამ თბილისის ახალგაზრდობაში განამტკიცა იუდაიზმის ცოდნა, რწმენა. დღეს მის მიერ აღზრდილი მსოფლიოს მრავალ კუთხეში მიმოფანტულან, მრავალ ბეით ქნესეთში ხაზნებად, მოხეტებად, ან გულდაგულ მლოცველებად გვევლინებიან.

თბილისის ჯამაათმა არიელ ლევინი 1994 წელს აირჩია მთავარ რაბინად, იგი ერთგულად უძღვებოდა საჯამაათო საქმეს, თუმცა, დროდადრო სირთულეების დაძლევა უხდებოდა. ერთი ამათგანი გახლდათ „ხაბადის“ მოვლინებული პირის მიერ დეკლარირებული საქართველოს მთავარი რაბინი მე ვარო. ახალციხელების ლოცვის იმდროინდელი (2003 წელი) გაბაის, ჯამაათის რამდენიმე წევრის ხელმოწერით, საქართველოს სალოცავებს დაეგზავნათ წერილები საქართველოს მთავარი რაბინი „ხაბადის“ წარმომადგენელი უნდა იყოსო. მერე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რა მოხდა, იყოს ორი მთავარი რაბინი — არიელ ლევინთან ერთად „ხაბადის“ წარმომადგენელიცო.

მაგრამ თბილისის ჯამაათმა მტკიცედ დაიცვა თავისი მთავარი რაბინის ღირსება და არიელ ლევინი კვლავ გულითადად უძღვებოდა ჯამაათს. თუმცა, ცხადია, ბოლო წლებში მისი დაშორება ჯამაათისაგან — იგი იერუსალიმში ცხოვრობს და დროდადრო ეწვევა ხოლმე თბილისს — ხელს უშლიდა ამ მისიის ზედმინევიტ შესრულებაში. ზოგიერთი ენამოსწრებული იმასაც კი ამბობდა, დისტანციური მთავარი რაბინი გყავსო. დისტანციური მთავარი რაბინობა კი მოგვხსენებათ, ერთობ რთული მისიაა, თითქმის შეუძლებელი. ამდენად, პრეტენზია უსაფუძვლო ნამდვილად არ იყო — ჯამაათს სურდა მთავარი რაბინი გვერდით ჰყოლოდა.

შემდეგ არიელ ლევინის მიმართ გაჩნდა ერთობ უამური ხასიათის პრეტენზია — ცნობილია, რომ არიელ ლევინმა ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ შექმნა ებრაული სკოლა, რომლისთვისაც სახსრების მოზიდვას ეწეოდა, ფულს კი, მოგესხენებათ, ჭუჭყიც ახლავს. არიელ ლევინის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა იმ ჯგუფის გამარჯვებით დამთავრდა, რომელიც მის გადაყენებას

მოითხოვდა და ნოემბერში, სასტუმრო „ბაზალეთში“ გამართულ შეხვედრაზე ა. ლევინმა გადადგომა გამოაცხადა. რედაქცია ვერ ფლობს მასალებს რამდენად სამართლიანი იყო ჯამაათის ერთი ნაწილის პრეტენზიები — ჰქონდა მას სერიოზული საფუძველი თუ არა, მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ ჯამაათის გარკვეულ ნაწილში არიელ ლევინის ნებაყოფლობითა თუ იძულებითა (ამასაც ამბობენ!) გადადგომამ გულისტკივილი გამოიწვია. ეს ალბათ, ბუნებრივია: ბოლო წლების განმავლობაში მან ბევრი ახალგაზრდა აღზარდა, ურთიერთობის მისი სტილი მოწონებას იმსახურებდა.

საყურადღებოა ერთი გარემოება: ზოგიერთი ა. ლევინს იმ რელიგიური საკითხების მოუგვარებლობაშიც ადანაშაულებდა, რომელთა გადაწყვეტა მას არ შეეძლო — (გიურის მიღება და სხვ.), ხოლო რაც შეეხება ფინანსურ საკითხებს, ვიმეორებთ: რედაქცია არ ფლობს სათანადო მასალებს და ამის გამო ამ ბრალეულობას ვერც დაადასტურებს და ვერც უარყოფს.

არიელ ლევინის მონინააღმდეგეთა შორის მოექცა ლევინისავე მონაფე — დავით აზიზოვი. ხაზანი დავით აზიზოვი ერთობ პერსპექტიულ ახალგაზრდა სასულიერო მოღვაწედ მიიჩნეოდა, იგი, ერთგულად ემსახურებოდა ჯამაათს. წლები შეაღია ამ სამსახურს, მაგრამ, როგორც ჩანს, მასში რაბინის სიღინჯეს, განსჯის უნარს, სიჭაბუკის მკვირცხლმა სისხლმა სძლია. ჯერ არიელ ლევინს მოუხდა ჯამაათის დატოვება, მერე იმას, ვინც ამას ესწრაფოდა — დ. აზიზოვს.

იქნებ, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მრავლისმეტყველი დეტალი: დიდი ბეით ქნესეთი დატოვა ქონმა რ.

მესენგისერმა. მიზეზი? თურმე, მას მიაჩნია, რომ ქონი უზენაესი პიროვნებაა ჯამაათში და ყველა მას უნდა ემორჩილებოდეს — ხაზანი, გაბაი და რაბინიც კი. ამ კაცს რომ ქონის ფუნქცია და არსი სწორად არ ესმის, ბევრი სხვა სამარცხვინო ფაქტიც ღაღადებს: თუ ქონი ხარ, სულ ცოტა შაბათს უნდა ინახავდე და უმსგავსო შეკრებულებებზე მაინც არ უნდა დარბოდდე! როგორც კი ქონი შაბათს ხელყოფს, იგი კარგავს ამ ღირსებას. მაგრამ ამაზე სხვა დროს, იმაზეც სხვა დროს ვისაუბრებთ, სხვა გარემოებაშიც, ეს ქონი ებრაელობას რომ არცხვენს: ადამიანის ჩაქოვას მოითხოვს.

დღესასწაულებში დიდ სინაგოგაში ქონობას ერთობ ღირსეული ახალგაზრდა კაცი — მერაბ მესენგისერი ეწეოდა.

ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში არის კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე — მის ეზოში, ერთ პატარა ოთახში მოთავსდა მალაზია, რომელშიც ისრაელიდან ჩამოტანილი, დაფასოებული ქათმები, ინდაურები იყიდება. ეს დიდი საშუალებაა ჯამაათისათვის — ამკარად უიოლებს ქაშურთის დაცვას, თავისუფლებს ბევრი გარჯისაგან, რასაც დიდი დრო მიჰქონდა.

სწორედ რომ ჰაშანის წინ თბილისს ახალი მთავარი რაბინი — აბიშაი ბათაშვილი მოეწვინა. — იგი დედაქალაქში ჯამაათის აქტიურმა წევრმა შოთა კეზერაშვილმა ისრაელიდან ჩამოიყვანა და წარუდგინა კიდევ დიდ ბეით ქნესეთში შეკრებულთ. ახალი მთავარი რაბინი

(დასასრული მე-8 გვერდზე)

ბიძინა ივანიშვილი თბილისის ბეით ქნესეთში

5 ოქტომბერს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს რელიგიური წმინდა ადგილების მონახულების დღე ჰქონდა — სალამო ხანს ჯერ საპატრიარქოს, შემდეგ ბეით ქნესეთს ეწვია.

ბიძინა ივანიშვილმა თბილისის ჯამაათთან საუბარში თქვა:

— დიდ პატივს ვცემ ებრაელ ხალხს, ეს ყველაზე ნიჭიერი ერია, მათ არასოდეს არავისთვის უღალატიათ. ჩვენ 2600-წლიანი მეგობრობა გვაკავშირებს. მოსკოვის ებრაელებთან ძალიან ახლოს ვიყავი და რადგან ამ ერის მიმართ ყოველთვის სიმპათიას გამოვხატავდი, გადაწყვიტეს, რომ მეც ებრაელი ვარ. მემამყება, რომ საქართველოში არ არსებობს ანტისემიტიზმი. ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ.

საქართველოს ებრაელთა მთავარმა რაბინმა აბიშაი ბათაშვილმა ბიძინა ივანიშვილს მიულოცა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება და უსურვა წარმატება, მშვიდობა და მშვიდი ცხოვრება. ბ. ივანიშვილს გამარჯვება სალოცავში შეკრებილმა ხალხმაც მიულოცა და მისვლისთვის მადლობა გადაუხადა.



გულოცავთ ქ-ნ ვ. ბუზიაშვილს

Official certificate of the Order of Honour awarded to V. Buziashvili. The document is in Georgian and English, signed by M. Saakashvili, President of Georgia. It includes the text 'By Decree № 25/09/02 of September 25, 2012 of the President of Georgia' and 'Violeta Buziashvili is thereby awarded with THE ORDER OF HONOUR № 3057'. The certificate features the Order of Honour medal and the official seal of the President of Georgia.

საიფის მომრიგებელი სასამართლო

24 სექტემბერი, 2012

თხოვნა 4

მთავარი აღმნუსხველის გილა საფრა-ბარნეას მიმართ

მთხოვნელი: გურამ ბათიაშვილი

წინააღმდეგ მოპასუხეებისა:

ჯამლელ სუსაშვილი

მამუკა თეთრაშვილი

გადაწყვეტილება

თხოვნაზე განაჩენის გაუქმების შესახებ

მოპასუხეთა მხრივ რეაქციის უქონლობისა და თხოვნისეულ დასაბუთებათა შესაბამისად, გაუქმებ განაჩენს, რომელიც მიღებულ იქნა 18.07.2012.

მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს დასაცავი წერილი 30 დღის განმავლობაში. რაკი მოპასუხეებს თხოვნისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და განსჯის აუცილებლობა არ აღძრულა, აღარ არსებობს (გაუქმებული) თანხის ამოღების გადაწყვეტილება.
გაცემულია დღეს — 24 სექტემბერს, მხარეების დაუსწრებლად.
სელმონარილია:
გილა-საფრა ბარნეა
მთავარი აღმნუსხველი

בית משפט השלום בחיפה
2012 ספטמבר 24, י' תשרי תשע"ב
4 מ'ש'ב
בפני כב' הרשמות הבכירה גילה ספרא - ברנע
גוראם בתיאשוילי
גנ
1. ג' אמלט חוחאשוילי
2. ממוקה סטראשוילי
הטלחה
1 בעניין: בקשה לביטול פסק דין
2 בהדער תגובת ב"כ המשיבים, ומנימוקי הבקשה, אני מבטלת את פסק הדין, שניתן בהעדר הגנה ביום 18/7/12.
3 הנתבע יגיש כתב הגנה תוך 30 יום.
4 מאחר והמשיבים לא התנגדו לבקשה, ולא נדרש דיון, אין צו להוצאות.
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
גילה ספרא-ברנע, רשמת בכירה
1 מתוך 1

და კვლავ: რატომ იტყუება ჯ. სუსაშვილი?!

ამ ცოტა ხნის წინათ მკითხველს ვაუწყე, რომ ხაიფის სასამართლოს განაჩენის აღსრულება გაყინულია, ე.ი. შეჩერებულია, ჯ. სუსაშვილი კი კვლავ განაგრძობს საზოგადოებრიობაზე სიცრუით ზემოქმედებას: მიუხედავად იმისა, რომ ხაიფის სასამართლოს განაჩენი უკვე გაუქმდა, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ჯ. სუსაშვილი თავის გაზეთში — „ობიექტივში“ ბეჭდავს ადვოკატთა საუბარს, სადაც შავით თეთრზე წერია: „აღმასრულებელი ბიურო სულ მალე დაასრულებს ძებნა-ძიებას გურამ ბათიაშვილზე ისრაელში არსებული ქონების შესახებ, რის შემდეგაც ჩვენი შუამდგომლობითა და ბიუროს გადაწყვეტილებით, რადგან ბრალდებული ორი ქვეყნის მოქალაქეა, ეს პროცესი გაგრძელდება საქართველოში, შევისწავლით ბათიაშვილზე რიცხულ როგორც რეალურ, ასევე ფარულ უძრავ-მოძრავ ქონებას...“ ერთი სიტყვით, დაპატიმრებით მემუქრებიან.

რატომ? რისთვის? „აღიდასებით“ სპეკულიაციას მე ხომ არ ვენეოდ?

აი, როგორ ხსნის ამგვარ სიტუაციას შექსპირი:
რაღან კიშირი ღამიონა კოჭლა ღრომაა.
რაღან უწინაჲს ხალონებას ასოგან ღასპარს,
რაღან უწინა ღა რაგანა ბრაქონოს ავოლა,
რაღან სიგარტელა სისულებელ ითჳება ახლა,
რაღან სიკითე ბოროტებას ტყველ ჩაპარდნილა.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა შემდეგი:
ჯ. სუსაშვილმა ჯიუტი გულმოდგინება გამოავლინა — წლების განმავლობაში ქუჩიდან ქუჩაზე, უბნიდან უბანში მუყაითად დაარბენინებს ჩემს შეურაცხმყოფელ მასალებს. კვირას, თვეს არ გამოსტოვებს თავისი სააგიტაციო ფურცელი „ობიექტივში“ ანუ „სუსანიუსი“ (ხალხს თვალს უხვევს: ვითომ თვითონ არაფერში ურევია, ვითომ ამ საძაგლობას რედაქტორები: ზ. დავარაშვილი და დ. ქელიძე სჩადიან, მაგრამ ყველამ იცის: მისი ნების გარეშე, ერთი წერტილიც არ დაიბეჭდება) არ დაარიგოს. ერთობ გამეცადინებულა ყველას ნააკითხოს, თუ ქვეყნის რაოდენი დამაქცევარია გ. ბათიაშვილი. უცხოეთში გზავნის, თბილისში ორგანიზაციებს ჩამოუთრებს, თუ ხელმძღვანელი პირი არ დახვდება, დაცვას აუწყებს: „იცით, ვინ არის ბათიაშვილი? აი, ნაიკითხეთ!“.

საზოგადო შეკრება, ბურთი მიჰქონდა, „აი, ჩვენი ფეხბურთელების ავტოგრაფიანი ბურთი მოგართვით“, ადამიანებს ღიმილი ერეოდათ: „რამდენჯერაც ეგ ქორწილსა თუ დაბადების დღეზე წავა, ეს ფეხბურთელები იკრიბებიან რომ ბურთზე ხელი მოუწერონ?!“ ახლა ბურთისათვის არ სცალია — საქართველო უნდა დაარწმუნოს, რომ გურამ ბათიაშვილი სამშობლოს მოღალატეა, რომ ამ ლატისთვის მასონები ფულს უხდიან. ქორწილს არ გამოსტოვებს და გასვენებას, კონცერტსა თუ დაბადების დღეს, ყველგან „ობიექტივში“ — „უამი ერთობისა“-ს დამატებას არიგებს. ეს ის „უამი ერთობისა“ გახლავთ, ჯ. სუსაშვილმა, ჯ. აჯიაშვილმა და ზ. დავარაშვილმა „მენორასთან“ დასაპირისპირებლად რომ შექმნეს... შექმნეს და აი...

გარბის დრო, წლებიც კი... ის თავისას განაგრძობს, მაგრამ შედეგი..?!

და უცებ... ევრიკა, მოიფიქრა!
გ. ბათიაშვილის მეზობლებს მიადგა, იმათ ჩამოურიგა ეგ ფურცლები. სამეზობლოში ავტომანქანების სახელოსნოებზე აქვთ გახსნილი. ხელოსნები განაწყენდნენ, რატომ მეტი არ დაგვიყარა — ზეთიანი, მახუთიანი, ტაოტიანი ხელის შესანმენდად გამოგვადგებოდანო, მეზობლები კი... ეგ ხომ ის კაცია, შენს ოჯახში გამოლილ სუფრებზე მომქანცველად, უპაუზოდ რომ ლაპარაკობდაო?!

სუსაშვილს ებრაულ სახლთან მიტინგის გამართვა სწადია. თუ ბათიაშვილს „ხესედ ელიაჰუს“ სამეთვალყურეო საბჭოდან არ გამოიყვანთ, ებრაულ სახლში „მენორას“ რედაქციას ოთახს არ წაართმევთ, ტელეოპერატორებით, კორესპონდენტებით მოგადგებით და მიტინგს გაემართავო. (ხედავთ, როგორ დაარბენინებს ამ ჩვენს პრესა-ტელევიზიას?).

27 სექტემბერს მსახიობის სახლის ეზოში გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ მიტინგის გამართვა რომ ეწადა, რატომ არის ბათიაშვილი ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ამდენი ხანია დავრბივართ, მოგინოდებთ, თქვენ კი არ მოხსენით, არ გაანთავისუფლეთო, მიუგეს: შენ ვინ გეკითხება, თუ ვინ იქნება „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორიო. თქვენც ასევე მიუგეთ, ბატონებო! მაგისი მიტინგებია აკლია ქვეყანას, მაგრამ ჩაატაროს, რა...

22 სექტემბერს ჯ. კახიძის მუსიკალურ ცენტრში, „იერუშალიმის კამერატას“ კონცერტზე არ გამო-

ტოვა — მუსიკის მოსასმენად მოსულ მოღვაწეთ აუწყებდა ბათიაშვილს მალე დააპატიმრებენო, თან იმ ფურცლებს აჩეჩებდა, რომლებშიც ქართველი ებრაელი „მოღვაწენი“ თავიანთ სულიერებას ავლენენ: „აი, ნაიკითხეთ, ნახეთ!“

სუსაშვილი, კი აჩეჩებდა, მაგრამ...
კონცერტის შემდეგ ამ დიდებული საკონცერტო დარბაზის გამოსასვლელში „ობიექტივში“ ეყარა.

დალოცვილნო, სანაგვე ყუთში მაინც მოგექციათ ეგ ფურცლები, თორემ რა გამოდის: თქვენ ეს სიბინძურე სახლში არ შეიტანეთ — ქვაფენილზე დაყარეთ, ადამიანები კი ჯ. აჯიაშვილის, შ. ცურის, თ. მამისთვალის, ი. იოსებაშვილის, ბენ ორენის, დ. ბაზოვის, სხვათა სახელებს ფეხით თელავდნენ. მათი გამონათქვამებია ამ ფურცლებში.

თქვენ მიგაჩნიათ, ამ ადამიანების სახელები ასე ფეხით გასათელია?

„ობიექტივში“ მოთავსებულია სუსაშვილის ე.წ. „საინიციატივო ჯგუფის“(!) განცხადება — „ხესედ ელიაჰუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ზ. დავარაშვილს, გ. პატაშვილს, გ. წინუაშვილს გურამ ბათიაშვილის გვერდით ჯდომა არ სწადიათ, საბჭოდან გამოიყვანეთო. ეს რომ წავიკითხე, ერთი ასეთი ანეკდოტი გამახსენდა: ებრაელმა კაცმა სუკის წინ რომ თვალი მოჰკრა წარწერას „უცხოთათვის შესვლა სასტიკად აკრძალულია“, „ჩაილაპარაკა: „Как будто, я пвлся к вам!“ თქვენ გგონიათ, მე დიდი სურვილი მაქვს ამ ადამიანების გვერდით ჯდომისა? მე იქ არა სიამოვნებისათვის, არამედ მოვალეობის გამო მივდივარ: იქნებ, რაიმე წვლილი შევიტანო იმ კეთილშობილ საქმეში „ჯონითი“ რომ აკეთებს საქართველოში.

გამიგია: ზოგიერთი კაცი მორიელივით არის, თუ მოუშვებ, უსათუოდ დაგკენსო. მოვუშვი და დამკბინეს კიდეც, თორემ რა ხელი მქონდა რომელიმე მათგანთან. მმოვუშვი და გამსვარეს. ახლა მეუბნებიან, ესეც უნდა აიტანოო.

და ბოლოს ერთი თხოვნა ქართველი თუ ებრაელი მკითხველისადმი: ქართველი ებრაელობა არ არის ისეთი ცუდი ხალხი, როგორც მას ჯ. სუსაშვილი წარმოგიდგენთ, არ დაიჯეროთ!

გურამ ბათიაშვილი

ქართული პალესტინიანა

იცხაკ ღავიდი

(დასაწყისი ნი. „მ“ №4,5,6,7,8,9,10,11,12)



18 ჯვრის მონასტრის თანამედროვე მდგომარეობის საკითხისათვის: ბუნებრივია, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ ძვრებს (1967), უმნიშვნელოდ არ ჩაუვლიათ ამ რაიონში მცხოვრები ქრისტიანული თემებისა და კონგრეგაციებისთვის. ადგილი ჰქონდა ტერიტორიულ ცვლილებებს, რაც სახელმწიფო საზღვრების თვალსაზრისით ქ. იერუსალიმზეც აისახა, ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკა აქამდე იორდანის ტერიტორიაზე მდებარე, ახლა ისრაელის ტერიტორიაში მოექცა, დამყარდა გარკვეული ურთიერთ-მიმართება ბერძნულ საპატრიარქო ხელისუფლებასა და ისრაელის ქ. იერუსალიმის საქალაქო ხელისუფლებას შორის. ისრაელში ჩვენი ჩამოსვლისთანავე (1972), მთელი ყურადღება რიგ სხვა საკითხებთან ერთად იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესწავლაზე იყო გადატანილი. შეგნებულად მოვერიდეთ ამ ეტაპზე ქართული ხელნაწერების ფონდის შესწავლას, ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში, ეს მრავალნივლიანი გაართულებდა საქმეს და გააჭიანურებდა, ამდენად მოგიხდა დაკმაყოფილება, ამ ხელნაწერების დღემდის გამოქვეყნებული მასალებით (ცაგარელი, მარი და სხვ). იმედია მკითხველი მოგვიტყვევებს თუ ამ მხრივ, ციტაცია და მითითებები ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერებზე, ზოგ შემთხვევებში არ იქნება ზუსტი და ადეკვატური. ხელთ არ გვექონდა ზოგიერთი უაღრესად საჭირო ქართულენოვანი გამოცემა თუ მონოგრაფია აღნიშნული საკითხების კვლევის თანამედროვე ეტაპის ყოველმხრივი გათვალისწინებისთვის. იგარძნობოდა საჭირო მატერიალური სახსრების უქონლობა, რიგი სხვა სიძნელეები და ა.შ. შედეგად, ჩვენს მიერ შეგროვილსა და გაანალიზებულ მასალას, შესაძლოა, რამდენადმე ინფორმაციულობის ელფერი უფრო დაჰკრავს, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ ვითარებაში, მაქსიმუმი გავგეგვითებინა ხსენებულ სფეროში. იმედია, გაპონოვის სახ. კავკასიოლოგიური კომიტეტი, მომავალი მუშაობით არა ერთ ხარვეზსა და ნაკლს შეავსებს.

როგორც ამ გამოკვლევის შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული, პირველი სადაზღვეო სამუშაოები ჩვენს მიერ, 1973-1974 წლებში იქნა ჩატარებული, ყოველ ასეთ ექსპედიციას აუცილებლად მოჰქონდა რაღაც ახალი, მოპოვებული შედეგებისა თუ მინაკვლევების სახით. ჩვენს თვალწინ გაუქეტა მონასტრის ვრცელ ეზო-მაშულს რკინის ჭიშკარი, თუმცა ეზო მოსავლელის შთაბეჭდილებას სტოვებს მაინც. მონასტერი აღარაა მოქმედი. არაერთხელ შეიცვალა აზრი მისმა ხელმძღვანელობამ მომავალში მონასტრის მოწყობა-გამოყენების ასპექტით. დღესაც მიმდინარეობს აღდგენითი შესაკეთებელი სამუშაოები მონასტრის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ზედა სართულებში. ჩვენს მუშაობას ბერძნული საპატრიარქოს მესვეურები მართალია გარკვეული გაგებით, მაგრამ დაუმალავი შიშის გრძობით ეკიდებოდნენ; ცხადია, საქართველოდან ჩამოსული ებრაელობა ვერ განაცხადებს პრეტენზიებს მონასტერზე, სიტყვა ქართველისა და ქართულის გაგონება მაინც იწვევს დაძაბულობას აქაურ ბერებშიც, ზოგჯერ აშკარად უხერხული მდგომარეობაც კი იქმნება, დასაწყისად უხერხული აღუბუღდა აბაბული და ახალბერძნული ენები იქნა გამოყენებული, მუნიციპალიტეტის სათანადო განყოფილების რეკომენდაციით და ისრაელში საქართველოდან გამოსულ ებრაელთა გაერთიანების დახმარებით, ჩავატარეთ ფრესკული ფერწერის ფოტოგადაღებები, განსაკუთრებით ადრეულ მდგომარეობასთან შედარებისა და მომხდარი ცვლილებების გამოვლინების მიზნით. ამ მხრივ, ჩვენი იქორი წლის განმავლობაში მუშაობის პერიოდშიც, ჰქონდა ადგილი, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვან

რეკონსტრუქციას ეკლესიის შიგნით ინტერიერში, რაც კარგად არის ასახული სათანადო ფოტოსურათებზე.

ვიწრო და დაბალი რკინის კარით, რომელიც დიდი ლოდებისაგან აგებულ კედელშია ჩაშენებული, შევდივართ მონასტრის ქვებით მოკირწყლულ ეზოში, რომლიდანაც გასასვლელებისა და კორიდორების საშუალებით მონასტრის სხვადასხვა ადგილსა თუ განყოფილებაში შეიძლება მოხვედრა. იარუსებად აგებული სართულები და აივნები ამფითეატრის მაგივრად შემონერენ ეკლესიას, სამრეკლოს და ორად-ორ კვიპაროსის ხეს. ზედა ოთახები და საკნები ცარიელია, კედლები შეთეთრებული. ეკლესიისკენ მიმავალი კორიდორის მარცხნივ, სარდაფის მაგვარ გვირაბში ღვინის საწური მოწყობილობაა. სანახელი, საწურავი მანქანები და სხვა იარაღები, გუთნის სახნავი პირი, კედელთან დგას ქართული ფორმის დიდი 1,3მ.-ის სიმაღლის ღვინის კასრი.

ეკლესიის წინა ვესტიბულის შესასვლელთან, მალა, მარცხნივ, კედელზე დაფაა ჩაკრული შემდეგი ქართული წარწერით: სულსა ამა კამარათა აღმამენებელსა შობის (შომის?) შეილს შალვას და დედა (მამას და) ძმათა მისთა — შეუნდოს ღმერთმან. ვესტიბულში, ხელმარცხნივ ბრძენი ბერის ფოტიოს ალექსანდრიტისის საფლავია ძეგლითურთ. იგი აქ არსებული თეოლოგიური სკოლის გამგებელი ყოფილა.

ეკლესია აშენებულია ძვ. ბერძნული — ორთოდოქსული სალოცავი სახლების სტილის მიხედვით, მის არქიტექტონიკაზე ზემოთ გვექონდა უკვე ლაპარაკი, აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ადგილობრივი ბერძნულ-ებრაული სამეცნიერო და სასულიერო პირების თანახმად ეკლესია მე-11 ს.-ში უნდა იყოს აშენებული, ე. ი. პროხორე ქართველის დროს. მათივე ვარაუდით, ეკლესიის უძველესი, შესაძლოა ბიზანტიური პერიოდის ნაწილია სამლოცველო დარბაზის უკანა სათავსი, წმ. ჯვრის ხის აღმოცენების ლეგენდარული ადგილი.

I. ტაძარში შესასვლელი, ზღურბლს ზემოთ ქართულ-ბერძნული წარწერა 1,2 მარამის გამოხატულება ბავშვთან ერთად. ქვემოთ ბერძნული ინიციალები. ღმერთის ხელი. კიდევ დაბლა, ხელის გამოსახულება და მის ნებზე წმინდანთა თავები. ბერძნული წარწერის ქვემოთ უცნობი წვერებიანი კაცი. ცაგარლის მიხედვით შესასვლელის მარცხნივ, კედლის განყოფილებაზე უნდა ყოფილიყო მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასლის ფრესკები, წარწერითურთ. ქ. მირიან... კონსტანტინე... მეფემ ეს ჯვარი... მოვიდეს... და დაიჭირა იერუსალიმი და ააშენა ესე ჯვარი. დღეს აქ ჩამოქცეული და გაშიშვლებული კედელია. 3. შულომო (სოლომონ) მეფე, ეტრატით ხელში, ეტრატზე ბერძნული წარწერაა: წმინდანთა სულეები, მათი გამსახავი ღმერთის ხელშია, არ ხელჰყო ისინი. 4. თვალბავშვული კაცი, ჯვარზე მიკრული, ამ ქვეყნიდან განდგომილი თუ წამებული ბერის სიმბოლო-გამოსახულება.

II. წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელების ფრესკები. ცაგარლის მიხედვით, აქვე უნდა არსებულიყო წარწერა: ... ეკლესია... საუკუნოსა წირვითა... მისსა სულსა...

III. პირველი მარცხნივი სვეტი. 1. შეხვედრა მარიამსა და იოანე ნათლისმცემლის დედას ელიშებს შორის, ტრადიციის თანახმად, იერუსის მახლობლად „ენ-ქარემში“. 2. მიქაელ და გაბრიელს მთავარანგელოზები, მათ შორის ბავშვი იესო ქვემოთ ქართული წარწერა. (იხ. ზემოთ). 3. წმ. პახომე (და არა პროხორე, როგორც ზოგიერთს მიაჩნდა) ზეციდან იღებს მთავარანგელოზს რაფაელისგან თავის ბერულ სამოსს. პახომე პირველ საუკუნეში ცხოვრობდა და იყო პირველ ქრისტიან ბერთავანი. 4. კირილე და ანთანასე, ზემოთ მოკიოსი, უფრო ზევით თეოდოსიოსი.

IV. პირველი მარჯვნივი სვეტი. 1. პეტრე და პავლე მოციქულები, მათ შორის ქვემოთ ქართველი ბერის გამოხატულება წარწერით: ამისა დამხატავსა პატრატესა დრანდელ და ა. შ. 2. მარცხნივ, დაბლა დემეტრე, მარჯვნივ, ნესტორი (დაზის მკვიდრი, ინამა 362 წელს); მალა მარცხნივ: გიორგი, ქ. ლო-

დის მკვიდრი, (მის სახელზე ნოდებული — გეორგოპოლისი), მარჯვნივ თეოდოროს ტირონი — რომაელი ჯარისკაცი. (ზევე ვილაი ებრაულ სიტყვა ტირონ ტირეს (ახლადგანწვეული, რეკრუტი) ხსენებული სახელს უკავშირებს) 3. დაბლა, მარჯვნივ მარცელუს აკიმეტე, მარცხნივ არეტასი. (აკიმეტე იყო სირიის მკვიდრი, აკიმეტელთა სექტის დამაარსებელი). მალა, მარჯვნივ — იაკობ სპარსელი, მარცხნივ — თეოდოროსი, (გარდაიცვალა 826 წელს) 4. მაქსიმე აღმსარებელი (ჰომოლოგეტი, მე-7 ს.) და იოანე დამასკელი (მე-8 ს.), მათ შორის შოთა რუსთაველის პორტრეტი წარწერით. — ამისა დამხატავისა: შოთა: შ ს ... ღ ნ ... ა ნ ... რუსთველი. მაქსიმეს ზემოთ, მარჯვნივ — ნიკოტას, იოანეს ზემოთ, მარცხნივ — მიხაელ სინადონი. სულ მალა, ქართული წარწერა. (იხ. ზემოთ).

V. მეორე მარცხნივი სვეტი. 60-იანი წლების მიწურულამდე, ამ სვეტს ეკვროდა ხის პატარა კარადა, იკონებითა და ხატებით. ჩვენს მიერ მონასტრის დათვალიერებისას, კარადა მოხსნილი იყო და გატანილი ეკლესიიდან. 1. ქრისტოფოროსი. მარცხნივ კირილე იერუსალიმელი — ქრისტიანთა საკრებულოს პატრიარქი მე-6 საუკუნეში. ზემოთ — დანიელი ლომთა ორმოში, კიდევ უფრო ზემოთ: ანგელოსს მოჰყავს წინასწარმეტყველი ხაბაკუკი (გადმოცემით, ანგელოსს გადაუფერნია ხაბაკუკი ბაბილონში, რათა ეჭმია იგი მშვიერი დანიელისთვის. ქვემოთ, წარწერა — წმ. სერაპიონი, ასევე ბერძნულად, ფრაზა ფსალმუნიდან: ისმინეთ ესე ყველა ერებო, ყური უგდეთ სამყაროს მცხოვრებნო ადამიანისა და კაცის ძენო. (ფსალ. ა—ბ). 2. შულომოსა დავიდის გამოხატულებები. ზემოთ აბრამისა და მისი შვილის ისაკის მსხვერპლშენიერის ბიბლიური სცენა, მორიას მთაზე. 3. ათანასე ათონელი (მე-10 საუკუნე (მე-10 ს.) ისიდორე პელუსიუმელი (მე-6ს.), ზემოთ მარცხნივ წმ. ქრისტინა, მარჯვნივ — წმ. მარიამ მაგდალინელი. 4. მალა ცეფანია წინასწარმეტყველი. დაბლა — იოანე ნათლისმცემელი. მამამისი ზეხარია (ენ ქარემიდან), იოანეს ხელში დაფა უჭირავს, წარწერით: — მობრუნდით, რამეთუ ახლოა სამეფო ღვთისა — (მათე, 3, ა) ითანე-ზეხარისა და ცეფანიას შორის, იოანეს დაბადების სცენა.

VI. მეორე მარჯვნივი სვეტი, საპატრიარქო ტახტითურთ. 1. წმ. საბა და ექვთიმე (მე-5ს.) მათ შორის მლოცველი მამა-შვილი, (ამჟამად გადატანილია სვეტის მოპირდაპირე კედლებზე) ქართული წარწერა: ამისა დამხატავსა არსენი(ს), ვა რს (ვარლამს), გრიგოლს შ ნ, ღ ნ, ა ნ. მისთა დედ-მამათა შ ნ, ღ ნ. წარწერა ცალკეული ასოების გარდა, ვერ იკითხება. დაბლა შვიდსვეტიანი სახლი, წინ გადაშლილი თეთრი სუფრით, ქალის პორტრეტით. ბერძნული წარწერა (იგავნი 9, ა) სიბრძნე ალაშენა სახლი თვისი, გამოჰკვეთა შვიდი სვეტი... გააწყო მაგიდაც. 2. ტახტს ზემოთ: ილია წინასწარმეტყველი ზეცას მიემგზავრება, მისი მონაფე ელიშა ქურქს ართმევს. 3. დაისრული სებასტიანოსი (მე-3ს.), რომელი ქრისტიანი ჯარისკაცი. 4. წმ. ლუკა და პროხორე ახალი აღთქმიდან, მოცემული საქმენი 6, (3-5). ზემოთ იესო დგას მთაზე და სატანას იცილებს თავიდან.

V და VI სვეტებს შორის იატაკზე სპილენძოვანი წრეა ქართული წარწერით — სდევით მტკიცედ და შეურყეველად და მომიხსენეთ მე ცოდვილი ჯვარის მამაი ნიკიფორე ნ კ ლ (ზ) ტიაი (1643). იატაკზე მოზაიკის ნაშთებია, ჩართული გეომეტრიული ფიგურებით და ცხოველ-მცენარეთა გამოსახულებებით.

VII-VIII სვეტების დამაკავშირებელ რკალზე ხის იკონოსტასია, რომელიც საზღოცველო დარბაზს გამოჰყოფს საკურთხეველიდან.


VII. მესამე მარცხნივი სვეტი. 1. მარიამი იესოთი, ზემოთ მთავარანგელოსი გაბრიელი. 2. რომანოს მაგლობელი (მე-6 ს. დამასკოელი ებრაელი) და პეტროს ალექსანდრიელი (მე-4ს.) ზემოთ პატრიარქი იეჰუდა.

(ამით ვამთავრებთ გამოჩენილი მაცნიერის იცხაკ ღავიდის ნაშრომის ცალკეული თავების გეგმას. რად.)

რუბრიკას უძღვება პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ებხედი თემა ქართულ მწიგნობაში

აკაკი წერეთელი (წერილი ივანეშვილი)



პირველი მწერალი, რომელმაც ებრაულ თემას დაუდო სათავე ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში, ფაქტობრივად, აკაკი წერეთელი (1840-1915 წწ.) იყო. ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, აღნიშნულ მოვლენას იმ ფაქტორმაც არსებითად შეუწყო ხელი, რომ იგი პიროვნულად კარგად იცნობდა ებრაულ ყოფით გარემოს და არაერთ ებრაელთანაც ჰქონდა ახლო მეგობრული ურთიერთობა. საჩხერესა და ქუთაისში, სადაც აკაკიმ ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა, საკმაოდ მრავლად ცხოვრობდნენ ებრაელები, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს ყოველდღიური მოხმარების საქონელით ვაჭრობა და ხელოსნობა წარმოადგენდა. ამ გზით მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ადგილობრივ მოსახლეობასთან. როგორც მწერლის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან ნათლად ჩანს, იგი ინტერესით ადევნებდა თვალს ებრაელთა ყოფას და მათი ცხოვრების საჭირობო-ტო საკითხები მკითხველთა ფართო სამსჯავროზეც გამოჰქონდა მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით.

1908 წელს, შემოქმედებითი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, აკაკი ბაქოში იქაურ ქართველებსაც მიუწვევიათ სტუმრად. იუბილეს ქართველებთან ერთად იქ მცხოვრები სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც მრავლად დასწრებიან, მათ შორის, ებრაელებიც. ისინი სიყვარულით მისაღებებიან იუბილარს. თავის საბოლოო სიტყვაში, ეტყობა სრულიად შემთხვევით და უნებურად, აკაკის მხედველობიდან გამოჩნენია შეხვედრის მონაწილე ებრაელთა გამოსვლები და არაფერი უთქვამს მათ შესახებ. ამ ფაქტით შენუხებული ებრაელები დაუყოვნებლივ მისულან ივანესთან და მორიდებულად უთქვამთ: „იფიქრებენ, აკაკის სძულს ებრაელებიო, და მოითხოვენ შუამდგომლობა, რომ აკაკის წარმოეტყვა სიტყვა. აკაკი იმნამსვე დამთანხმდა, თუ მოხერხებული იქნება ხელახლა ფარდის ახდა და სცენაზე გამოსვლაო. გარემოების ბატონ-პატრონი ჩვენ ვიყავით და ხელს ვინ შეგვიშლიდა. აიხადა ფარდა, გამოვიდა აკაკი და წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა, რასაკვირველია, რუსულ ენაზე. ტაშის გრილი ხშირად გაისმოდა სიტყვის მიმდინარეობის დროს და, დასასრულს ხომ მთელმა საზოგადოებამ ფეხზე ადგომით ოვაციები გაუმართა.“

აკაკისადმი ებრაელების პატივისცემლური

დამოკიდებულების გამოვლინებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა რაჭა-ლეჩხუმში პოეტის მოგზაურობის დროს. როგორც ცნობილია, ამ მოგზაურობის ორგანიზატორთა შორის ქართველი ებრაელი იაკობ სეფიაშვილიც ყოფილა. ქართველებთან ერთად აკაკის თურმე იქაური ებრაელებიც ხვდებოდნენ უდიდესი სიყვარულით. ერთ-ერთი მათგანი ონელ ებრაელთა იმჟამინდელი რაბინი, ქართველი ებრაელების დიდი სულიერი მოძღვარი, ცნობილი ებრაელი მწერლის – გერცელ ბააზოვის მამა დავით ბააზოვიც იყო. მოგვიანებით, ერთ თავის წერილში, დ. ბააზოვიც რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობა დიდ ეროვნულ ზეიმად და ქართული კულტურის სამახსოვრო ისტორიულ მოვლენად შეაფასა.

აკაკის მიმსაღმებელთა შორის ებრაელებიც ყოფილან. ისინი ემოციურად გამოხატავდნენ იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რითაც ქართველი ებრაელები იყვნენ განმსჭვალულნი საპატიო სტუმრის მიმართ. მაგალითად, ონში გამართულ შეხვედრაზე ონელ ებრაელთა სახელით ფილხაზ შიმილაშვილს მწერლისათვის ამ სიტყვებით მიუმართავს: „საქართველოს მგოსანო, საქართველოს მამულიშვილო, ბატონო აკაკი! მე გეახელით თქვენ, რათა ქართველი ებრაელების მონდობილობით მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა: დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენის წაწარმოებებით აღზრდილი და თქვენის ჩანგის ჟღერით დამტკბარი. ამასთანავე უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენ, ქართველი ებრაელები, დიდის აღტაცებით და გამოუთქმელის სიხარულით მივგებებთ ერთად ჩვენ ქართველ ძმებთან და მეზობლებთან თქვენს ჩვენში მობრძანებას და ბედნიერ დღეობას.“

დიდებულო მგოსანო, ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს, ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს, რომ არ განვირჩევით ერთმანეთისგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი. ამიტომ ვაღდებულად ვთვლით ჩვენს თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან მონაწილეობა მიგვეღოს ამ თქვენს დღეობაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი რჯული ნებას არ გვაძლევს, რადგან დღეს შაბათია, ამისთვის ბოდიშს ვითხოვთ თქვენს წინაშე და გთხოვთ მოგვიტყვოთ. ამასთანავე ნიშნად პატივისცემისა ებრაელებისაგან გთხოვთ მიიღოთ ეს მცირედი ძღვენი. მუდამ სახეში იქონიეთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ არის და არ იქნება განსხვავება, გარდა სარწმუნოებისა“.

აკაკისადმი სიყვარული და პატივისცემა ქართველმა ებრაელებმა მისი გარდაცვალების დღეებშიც გამოხატეს განსაკუთრებული მღელვარებით. კერძოდ, „საჩხერელმა ებრაელებმა სალოცავში პოეტის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს და გაზეთშიც გამოაცხადეს სამგლოვიარო დეპეშა. ქუთაისელმა ებრაელებმა სპეციალური კრება მოიწვიეს და ღონისძიებათა მთელი გეგმა შეადგინეს პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ქუთაისელმა ებრაელებმა ჯერ გაზეთში გამოაცხადეს სამგლოვიარო დეპეშა, შემდეგ კი სალოცავში პოეტის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს, თან აქტიურად ჩაებნენ აკაკის ფონდში ფულის შესაგროვე-

ბლად. ასეთივე ცნობები მოდიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრები ებრაელების მხრიდანაც. თბილისის, ლაილაშის, სუფუჯის ებრაელთა მწუხარების ხმა უერთდებოდა ქართველი ხალხის საერთო გლოვას. პოეტის ცხედარი რომ საჩხერიდან გამოასვენეს, ებრაელთა უზანი სამგლოვიაროდ იყო მორთული, ხოლო გამოსათხოვარი სიტყვით გამოსულ ხუთ ორატორთან ერთად საჩხერის ებრაელთა წარმომადგენელმა ბიჭია მეგრელიშვილმაც დაიტირა პოეტი“ (დ. ხანანაშვილი). იგივე ამბავი განმეორდა თბილისშიც. პოეტის დასაფლავების დღეს შეკრებილ დიდძალ საზოგადოებაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩასული ებრაელებიც მრავლად ყოფილან. მათი სახელით აკაკისათვის გამოსათხოვარი სიტყვით მიუმართავს თბილისელ ებრაელთა რაბინს მარკუსს.

ყოველი ჭეშმარიტი ებრაელისათვის მარადიული ოცნების საგნად ქცეული იერუსალიმი ა. წერეთლისთვისაც წარმოადგენდა რელიგიური რწმენის უწმინდეს სიმბოლოს, რომლის ალეგორიული შინაარსი თავად მას შემდეგნაირად აქვს განმარტებული ერთ-ერთ წერილში: „ნათქვამია: „იერუსალიმში მიმავალი ხიფათს არ უნდა ერიდებოდესო. წინდანინვე უნდა ელოდეს: შიმშილს, წყურვილს, სიცხეს, სიცვიეს, გმობას, დევნას და სხვადასხვა მრავალგვარ საფრთხეებსო, უნდა მზად იყოს და ესეები ყველა მოთმინებით მიიღოს!“ ეს ძველი თქმულება ჩვენც იმ თავითვე ჩვენის ცხოვრების კანონად გვქონდა მიღებული, ვხედავდით და ვხედავთ, რომ შორს იყო ის ჩვენი სამწირო იერუსალიმი, თვლით არ ჩანდა, მაგრამ მაინც მოვეშურებოდით: თუ ჩვენ ვერ ვეღირსებით იქ მისვლას და იმ „წმინდა წმიდათის“ თაყვანისცემას, რამოდენიმე გზას ხომ მაინც გავივლით და ის ხელახლად გასაველად აღარ გაუხდება ჩვენს შვილებს.“

ა. წერეთლის შემოქმედებაში არაერთგზის ესმება ხაზი ებრაელი ხალხის ნიჭიერებითა და ინტელექტუალური შესაძლებლობებით გამორჩეულობას. მწერლის მტკიცებით, ებრაელთა ამგვარი განსაკუთრებული დასტურად მათ მიერ შექმნილი ბიბლიის გახსენებაც იკმარებდა, ნიგნისა, რომლის მსგავსი სულიერი საუნჯე მსოფლიოს არც ერთ ერს არ მიუცია კაცობრიობისათვის. „გარდასულ ერებში, - წერს აკაკი, - ყველაზე უფრო ურიები მომწონს არც ერთ ერთაგანს ბიბლიისებური ჩვენთვის არა დაუტოვებია რა. იქ არა თუ „შექმანათა საკითხავი“, „მეფეთა ნიგნია“, „სანინასწარმეტყველოები“ და სხვანი შესანიშნავია, უბრალო არაკებსაც კი გენიოსობის ბეჭედი ასვიათ.“

ებრაული თემით ა. წერეთლის დაინტერესებას არსებითად განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ იგი შინაგანად ბევრ საერთოს პოულობდა ქართველი და ებრაელი ხალხის ტრაგიკულ ისტორიაში. ამ თვალსაზრისით პოეტისათვის განსაკუთრებული შთაგონების წყაროდ უწინარეს ყოვლისა ებრაელთა ბიბლიური წარსულის ის ეპიზოდები იყო ქცეული, რომლებიც ამ მრავალტანჯული ერის სულიერი და ეროვნული გაუტყეხელობის ღრმაზროვან მაგალითებადაა დამკვიდრებული კაცობრიობის ისტორიაში.

დანიელ ხანანაშვილის ღვაწლის უკვდავსაყოფად

21 სექტემბერს ქუთაისში, ყოფილ შაუმიანის (ახლანდელი ბორის გაბონოვის) ქუჩაზე, ებრაელთა ზედა სალოცავის წინ, სახლზე, სადაც თავის ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში დამკვიდრებამდე (1993 წლამდე) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი ებრაელი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე დანიელ ხანანაშვილი, ფართო საზოგადოების მონაწილეობით გაიხსნა მისი მემორიალური დაფა. მემორიალური დაფა დაამზადა ქუთაისის საპატიო მოქალაქემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არქიტექტორმა გივი თოდაძემ.

ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ისრაელიდან საგანგებოდ ჩამობრძანდნენ ბატონი დანიელის ოჯახის წევრები: ქალიშვილი ინგა მეუღლესთან — შოთა მირილაშვილთან (მირელთან) და შვილებთან — მირანდასთან და მერაბთან ერთად. ისინი ისრაელში დამკვიდრებებიდან ოცი წლის შემდეგ პირველად ესტუმრნენ ჩვენს ქალაქს და უდიდესი მადლიერება გამოხატეს ბატონი დანიელის ღვაწლის

ამგვარი დაფასების გამო. მემორიალური დაფის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ და სიტყვები წარმოთქვეს: საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა და ამ საზოგადოების ჟურნალ „ნოსტალგის“ რედაქტორ-გამომცემელმა, პროფესორმა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, მწერალმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორმა, პროფესორმა მერაბ კეზევაძემ, ქუთაისის ცხვირის ქირურგიული ცენტრის დირექტორმა და ფოტოხელოვანმა თემურ ძიძიურმა, ქუთაისის ებრაელთა საბჭოს თავმჯდომარე მოსე ბალუაშვილმა, ქუთაისის ებრაელთა საექვლეპემოდო ფონდის — „ხესედ-აბული — 97-ის“ დირექტორმა გიგა ხოტოველმა, ექიმმა გიორგი ბერეკაშვილმა, გაბონოვის ქუჩის მცხოვრებლებმა. დასასრულს დამსწრე საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს და ბატონი დანიელის ღვაწლის უკვდავყო-

ფისათვის მადლობა გადაიხადეს ისრაელიდან ჩამობრძანებულმა სტუმრებმა: ქალბატონმა ინგამ და ბატონმა შოთამ.

ღონისძიება კიდევ უფრო დაამშვენა ქალბატონ ინგას მიერ თბილისიდან ჩამოტანილმა დანიელ ხანანაშვილის ფუნდამენტურმა ნაშრომმა „ებრაელობა. ქართულ-ებრაული ურთიერთობანი. დანიელ ხანანაშვილის არქივში დაცული საქართველოს გასაბჭოებამდე გამოცემული ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთების მიხედვით. ანოტირებული ბიბლიოგრაფია.“ ნიგნი გამოსაცემად მოამზადეს ამჟამად ისრაელში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა ებრაელმა მკვლევარებმა, დოქტორებმა: ქარმონ ბენ-ორენმა (ნიუ-ჟარსეილმა) და შალვა წინუაშვილმა; გამოსცა დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმმა ამავე მუზეუმის შრომების (ტომი VIII) გვიგით.

თიშურ კივიზური

ისრაელის ხელოვნების თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე

„შემოდგომის თბილისი“

საქართველოს და ისრაელის შორის დაპროექტირებული ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავს მიეძღვნა.



დირიჟორი აპნერ ბრონი

მეოცე საუკუნის დამლევს გამოჩენილმა ქართველმა დირიჟორმა, კომპოზიტორმა და მომღერალმა, დიდებულმა ჯანსუღ კახიძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მუსიკალურ ფესტივალს „შემოდგომის თბილისი“, რომელიც აგერ უკვე მეორე ათეული წელია საქართველოს კულტურული ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა.

ამ ფესტივალის გარეშე ხომ წარმოუდგენელია თბილისის ცხოვრება.

ჯ. კახიძის გარდაცვალების შემდეგ მუსიკალურ ფესტივალს ხელმძღვანელობს რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ კახიძე – დირიჟორი და კომპოზიტორი, შემოქმედი, რომლის ხელოვნება ესოდენ ხიბლავს ქართულ მუსიკალურ საზოგადოებრიობას. ამ წლების განმავლობაში ვ. კახიძე ჩამოყალიბდა, როგორც არა მხოლოდ დიდებული დირიჟორი, არამედ მუსიკალურ დღესასწაულთა ორგანიზატორი. იგი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან იწვევს სახელგანთქმულ მუსიკალურ კოლექტივებს.

წელს „შემოდგომის თბილისის“ მონაწილე გახლდათ ისრაელის „კამერატა“ (იერუსალიმი), რომელსაც სახელგანთქმული დირიჟორი აპნერ ბრონი ხელმძღვანელობს.

ისრაელელი დირიჟორის, მუსიკოს-შემსრულებლის საქართველოში ეს გასტროლი მოექცა ორ სახელმწიფოს – საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავის ზეიმის ფარგლებში. ამ ზეიმის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ბევრი იღვანა საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულფუნქციონარმა ელჩმა ბ-ნმა იუვალ ფუქსმა. ეს კარგად გამოჩნდა 20 სექტემბერს ჯ. კახიძის სახ. მუსიკალური ცენტრის დიდებულ დარბაზში გამართულ კონცერტზე. სწორედ აქ გაიმართა „ისრაელის კამერატას“ პირველი კონცერტი. საღამოზე შესავალი სიტყვა თქვა ვახტანგ კახიძემ, რომელმაც სცენაზე მოიწვია ელჩი იუვალ ფუქსი.

ბ-ნი იუვალ ფუქსი ამბობს: — მივსალმები პატივცემულ საზოგადოებას, საღამო მშვიდობისა ძვირფასო სტუმრებო, მამობრებო!

წელს ჩვენ ისრაელსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავს ვუბიძგებთ. მამობრებო ჩვენს ხალხებს

თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე

სექტემბრის მეორე ნახევარი თბილისი თეატრალური ხელოვნებით გახლდათ დაკავებული. ადამიანები საქართველოს თეატრალური ფესტივალის ამა თუ იმ სპექტაკლზე მოხვედრის სურვილით იყვნენ გატაცებული. წელს ფესტივალის მეოთხედ ჩატარდა და მაღალი შემოქმედებითი ხარისხით ხასიათდებოდა. ფესტივალზე სპექტაკლები წარმოადგინეს: შვედეთის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, ბელორუსიის, გერმანიის, ჩინეთის, საფრანგეთის, მოლდოვას, რუსეთის (მოსკოვი, ოლეგ ტაბაკოვის თეატრი), ლიტვის, მექსიკის, აზერბაიჯანის, იაპონიის თეატრებმა. საინტერესო გახლდათ ის, რომ ფესტივალზე წარმოდგენილი გახლდათ ყველა თეატრალური ჟანრი: დრამატული სპექტაკლი, მონოსპექტაკლი, პერფორმანსი.

საფესტივალო სპექტაკლები იმართებოდა კ. მარჯანიშვილის, ალ. გრიბოედოვის, შ. რუსთავე-

შორის მიმდებარე გაცხილებით დიდი ხნისაა. ეპრაქალიპი საქართველოში 2600 წელია ცხოვრობენ და ქართული საზოგადოება მათდამი ყოველთვის ტოლერანტული და კეთილგანწყობილი იყო.

ჩვენ ძველებს შორის ურთიერთობა ეფუძნება სხვადასხვა სფეროში და ყველა დონეზე მრავალმხრივ თანამშრომლობას, რაც მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

ჩვენი საუბრითავე ურთიერთობის და თანამშრომლობის უნიკალური განზომილება არის კულტურა, დაწყებული შოთა რუსთაველიდან, რომელიც იარსალივით ცხოვრობდა, დღემდე. ასე, რომ არ არსებობს კულტურულ დონისძიებაზე უფრო უკეთესი ფორმა, ამ თარიღის აღსანიშნავად.

დღეს და შაბათს თქვენ გეძნებათ შესაძლებლობა დატკბეთ თანამშრომლობის უნიკალური ნაყოფით – ისრაელელი და ქართველი მუსიკოსების, ორკესტრის, დირიჟორების, კომპოზიტორების ერთობლივი ღონისძიებით ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში, რომელიც დიდი ქართველი დირიჟორის ჯანსუღ კახიძის დაფუძნებულია.

ერთ-ერთ კონცერტს უდირიჟორებს ისრაელელი აპნერ ბრონი და მეორეს ვახტანგ კახიძე, ჯანსუღ კახიძის ვაჟი და ისრაელის დიდი მამობრები.

„ისრაელის კამერატა“ პირველად არ უკრავს აქ, მაგრამ ზოგიერთი ნაწარმოები პირველად შესრულდება საქართველოში.

ვიცი, რომ ამ სახის თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება კულტურის და არა მხოლოდ კულტურის სფეროში. მა ამაყი ვარ და ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს ჩვენს შორის არის იოსებ ბარდნაშვილი – საქართველოში დაბადებული დიდი კომპოზიტორი, რომელიც ისრაელის მუსიკის განუყოფელი ნაწილი და საქართველოს ისრაელის თანამშრომლობის ნათელი გამოხატულებაა.

ჩვენს ძველებს შორის თანამშრომლობა მოიცავს ბიზნესს, მაცნობარებას და მრავალ სხვა სფეროს, მაგრამ არაფერი აახლოებს ადამიანებს ისე, როგორც მუსიკა, ასე რომ ისინი ერთმანეთს დაეხმადნენ საღამოში!

შემდეგ „ისრაელის კამერატა“ წარმოადგენს თავის დიდებულ ხელოვნებას. აპნერ ბრონის დირიჟორობით „კამერატამ“ შეასრულა: ჰაიდნის 49-ე სიმფონია, რ. შტრაუსის „მეტამორფოზები სიმებიანი ორკესტრისათვის“, რაველის „კუპერინის საფლავის“ და რესპიგის „ჩიტები“. (ეს ბოლო სამი ნაწარმოები საქართველოში პირველად შესრულდა.)

დარბაზმა, მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ „ისრაელის კამერატა“ გულთბილად მიიღო, დიდი ოვაცია გაუმართა მას.

22 სექტემბერს „ისრაელის კამერატამ“ მეორე კონცერტი გამართა (საგულისხმოა ერთი გარემოება – ორკესტრში ერთი დათიმი გახლდათ – ამიტომ კონცერტი 30 წუთის დაგვიანებით დაიწყო: ვიდრე შაბათი არ გაბრძანდა, იგი სასტუმროდან არ გამოვიდა).

ამჯერად სადირიჟორო პულტთან ვახტანგ კახიძე იდგა, ხოლო ორკესტრში ისრაელელებთან ერთად, ქართველი მუსიკოსებიც იყვნენ.

ამ საღამოს შესრულდა: დეორჟაკის „სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის ოპ.44“, ვ. კახიძის In Memoriam – სიმებიანი ორკესტრისათვის, მალერის „ადაჟიო სიმფონიიდან 5“ და ი. სტრავინსკის „სუიტა ბალეტურიდან „ფასკუნჯი“.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ დიდ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს შორის გახლდათ იოსებ ბარდნაშვილის „გადამფრენი ჩიტები“. ქართველი ებრაელი კომპოზიტორის ეს ნაწარმოები ხსენებულ თანავარსკვლავედში ჩინებულად მოექცა. ეს იყო ის ფერი, რომელიც უსათუოდ სჭიროდა პალიტრას და იგი გაჩნდა კიდევ პალიტრაზე. ამიტომაც იყო: თბილისის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ ერთობ გულთბილი შეხვედრა მოუწყო კომპოზიტორ იოსებ ბარდნაშვილს.

კონცერტების შემდეგ დირიჟორმა და ფესტივალის ორგანიზატორმა ვახტანგ კახიძემ „მენორას“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

– „ისრაელის კამერატა“ დიდებული კოლექტივია. იგი ამ ორი წლის წინათაც მონაწილეობდა ჩვენს ფესტივალში. დიდ პატივს ვცემ დირიჟორ აპნერ ბრონს. თავისი ორკესტრის ჩინებული მწვრთნელია, განსაკუთრებით მახარებს ისრაელელთა წარმატება ფესტივალზე, რადგან ამ ქვეყანასთან ბევრი რამ მაკავშირებს, მიყვარს იგი და ისრაელის მეგობრად მიმაჩნია თავი.

განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ფესტივალში კვლავ მონაწილეობს ჩინებული კომპოზიტორი სოსო ბარდნაშვილი. მასთან დიდი ხნის შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს. ნახეთ, როდენ გულთბილად მიიღო იგი მაყურებელმა.

კარგია, რომ ისრაელის საელჩო საქართველოში ესოდენ სერიოზულ შემოქმედებით კოლექტივს აცნობს ქართველ მაყურებელს.



იოსებ ბარდნაშვილი



სცენა სპექტაკლიდან „სამზარეულო“

მიუძღვნა. აგრეთვე წარმოდგენილი იქნა ჯგუფ „მიკლატ-209“-ს სპექტაკლი „სამზარეულო“.

რას ვკითხვართ ულოპო
ამ კვირაში?
რუბრიკას უძღვება საქართველოს
მთავარი რაბინი
აბიშაი ბათაშვილი

აბიშაი ბათაშვილი



სიტყვა "תישאר" „ბერეშით“ (თავდაპირველად) – ნიშნავს დასაწყისს. ჩვენი ნეტარსენებელი ბრძენები ამბობენ, რომ კუროთხეული გაძმინის მიერ ქვეყნიერების შექმნის მიზეზი ორი რამ იყო, რომლებიც „תישאר“ - „დასაწყისად“ იწოდებოდა, აქედან გამომდინარე, სიტყვა ორად იყოფა, „

რომლის ციფრიც გიმეტრიაში (ასოთაციფრობრივ მანქანებელ ჯამში) ორს უდრის, ესე იგი ორ „დასაწყისს“, ორი რამის გამო, რომლებსაც დასაწყისი ეწოდათ, შექმნა გამ-ნმა ეს ქვეყნიერება, და ესენია: ისრაელის ხალხს ეწოდა დასაწყისი და თორა გახლავთ დასაწყისი და ესაა ის ორი რამ, რომელთა გამოც გამ-ნმა ქვეყნიერების შექმნა გადაწყვიტა.

ქვეყნიერების შექმნის ამბავს და ცნობიერების ხის ცნობილ შემთხვევას რომ ვკითხულობთ, რომლის ნაყოფიც ადამმა და ევამ შექამეს, იბადება რთული კითხვა, მართლაც და როგორ ვერ შესძლეს, რომ ასეთი მცდელობისთვის გაეძლო ყველაზე რჩეულ იმ ორ ადამიანს, რომლებიც თვით ღმერთის მიერ იქნენ შექმნილნი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი, როგორც ღმერთის ხელთნამოქმედარნი, უძალდეს საფეხურზე იმყოფებოდნენ. განსაკუთრებით კი, როგორც ჩვენი ბრძენნი ამბობენ, ცნობიერების ხის ნაყოფის ჭამის აკრძალვა მათ მეექვსე დღის ცხრა საათისთვის ექნათ მითითებული და მისი ჭამა ეკრძალებოდათ მხოლოდ იმ დღეს, ესე იგი, მათ მხოლოდ რამდენიმე საათით უნდა შეეკავებინათ თავი, რომ ხის ნაყოფი არ ეჭამათ, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს მცდელობისათვის გაეძლოთ?

ამაზე კი ასეთ პასუხს იძლევიან: ცნობილია, რომ ცნობიერების ხის ცოდვა ის ფესვია, რომლიდანაც ყველა თაობის განმავლობაში მთელი ისრაელის ხალხის ნებისმიერი ცოდვა აღმოცენდა. და რომ

ცნობიერების ხის ცოდვის გამო სასჯელი ის იყო, რომ გადაწყვეტილ იქნა ადამიანი მომკვდარიყო. ესე იგი, ქვეყნად სიკვდილის მიზეზი, ღმერთმა დაგვიფაროს, ცნობიერების ხის ცოდვაა, და ეს ცოდვა რომ არ ჩაედინათ, სიკვდილი საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ქვეყნად. მაგრამ რადგანაც სატანა მიხვდა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ადამს და ევას ეს ცოდვა ჩაედინათ, ყოველგვარი ძალა იხმარა იმისათვის, რომ ისინი ეცდუნებინა.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი გაკვეთილის სწავლა შეგვიძლია ჩვენს დღევანდლობაშიც, როდესაც ხანდახან ნებისმიერი ჩვენგანი იძულებული ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში თორისა და მიცვეების შესრულებისას სირთულეებსა და მცდელობებს გაუმკლავდეს. რამეთუ თვით ყველაზე ძნელი შესასრულებელი რაც არის, გვასწავლის, რომ მათში ყველაზე მნიშვნელოვანი არსებობს და ამიტომ ბოროტი მიდრეკილება მაქსიმალური სირთულეების წინაშე გვაყენებს, რადგანაც მან იცის, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის.

და ამიტომაც, თუ სულიერ ცხოვრებაში სინელებს ვუმკლავდებით, ამან არ უნდა გავგეტუნოს, უნდა ვიცოდეთ, რომ ზუსტად იქ არის გამოსწორებისა და ღრმა მნიშვნელობის საქმის გაკეთების ხელსაყრელი შემთხვევა.

შაბათ შალომ უმეგორან!



საქართველოსა და ისრაელში კარგად ცნობილი მეცნიერი, მედიცინის პროფესორი, ონკოლოგი, სემკ-ის თანათავმჯდომარე **მერაბ ისრაელაშვილი (ხარელი)** არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად. გაზეთ „მენორას“ რედაქცია გ ულითადად ულოცავს მერაბ ისრაელაშვილს ამ აღიარებას.



რამდენიმე წელია ისრაელის ქალაქ კირიათათას ჯამათს ხელმძღვანელობს ფილხან აჯიამიელი. მისი საზოგადოებრივი აქტიურობა იმითაც გამოიხატა, რომ გახლავთ სემკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი. გაზეთ „მენორას“ რედაქცია **ფილხან აჯიამიელს** ულოცავს დაბადების 70-ე წელს, უსურვებს ხანგრძლივ, ნაყოფიერ ცხოვრებას. აღძვალ ვეესრემ, მვირფასო ფილხან!

„მენორას“ რედაქცია დაბადების 70-ე წლისთავს ულოცავს ისრაელის ქართველი ებრაელობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, სემკ-ის გაზეთ „მაცნეს“ უოფილ რედაქტორს **დავით შიმშილაშვილს** და უსურვებს ხანგრძლივ, ნაყოფიერ სიცოცხლეს.



თორა და ტახტი

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ლონდონის წმინდა პავლეს ტაძრის ზარები დედოფალ ელისაბედ II-ის დედოფლობის 60 წლისთავთან დაკავშირებით საზეიმოდ რეკდნენ. იმასაც აღვნიშნავთ, რომ ბრიტანეთის სინაგოგებში ლოცვა „დედოფლის სადიდებლად“ არა მხოლოდ საიუბილეო დღეებში, ყოველ შაბათს იკითხება. ხოლო ელისაბედ II-ის დედოფლობის ბრილიანტის იუბილეს დღეებში ბრიტანეთის ებრაულ თემებში იმაზე დაფიქრდნენ, თუ რა აკავშირებს მის უდიდებულესობას ებრაელობასთან, იუდაიზმთან. რატომ არის, რომ ბრიტანეთის ებრაელებს ასე ძლიერ უყვართ დედოფალი? იმიტომ ხომ არა, რომ უმაღლესი ხელისუფლების მიმართ ლოიალობა იუდაიზმის ერთ-ერთი უძირითადესი პირობაა? ან იქნებ, იმიტომ, როგორც ამ ათი წლის წინათ, ელისაბედ II-ის დედოფლობის ოქროს იუბილესთან დაკავშირებით, ბრიტანეთის მთავარმა რაბინმა ჯონათან საქსმა აღნიშნა: „დედოფალი დიდი ბრიტანეთის სახეს წარმოადგენს“.

— ებრაელობისთვის ელისაბედ II-ის ეპოქა სტაბილურობასა და გაფუფუნებას ნიშნავს — აღნიშნავს რაბინი და ლიტერატორი ჯონათან რომენი — ისტორიის განმავლობაში მონარქები ებრაელების მიერ აღიქმებოდნენ, როგორც დევნისა და უბედურების სიმბოლო. შუა საუკუნეების ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების ეპოქებში იუდეველები განტევების ვაცად მიიჩნეოდნენ. ინგლისის მონარქები თავიანთ „კოლეგებზე“ უკეთ როდი ირჯებოდნენ. ვილჰელმ დამპყრობელი ებრაელობას მიიჩნევდა, როგორც თავის „მოძრავ ქონებას“, ჰენრი III-მ მცირე გადასახადი დაუნესა, ხოლო ედუარდ I-მა 1290 წელს ინგლისიდან ყველა ებრაელი განდევნა. სხვათა შორის, მეფის ეს ბრძანება ფორმალურად დღესაც კი არ არის გაუქმებული.

ძნელია იმსჯელო დედოფალ ელისაბედ II-ის ებრაელობისადმი დამოკიდებულებაზე, რადგან იგი საჯაროდ არასოდეს გამოთქვამს თავის აზრს. თუმცა, დედოფლის სამ ვაჟს: ჩარლზს, ენდრიუს და

ედუარდს ბევრი რამ აკავშირებთ მსოფლიოს ებრაელ მამაკაცებთან: დიახ დიახ, ასო იმათაც ნაჭრილი აქვთ. ოპერაცია გააკეთა მოელმა (მოელი — ებრაულ მამაკაცთა წინდაცვეთის რიტუალის აღმსრულებელი) და ამავე დროს მედიცინის დოქტორმა — ჯეიკობ სნოუმენმა. წინდაცვეთის რიტუალი ბრიტანეთის სამეფო ოჯახში XVIII საუკუნის დამდეგს დაიწყო, მაშინ როცა ტახტი გეორგ I-მა დაიკავა. მის სამშობლოში — ჰანოვერში იყო ტრადიცია უმაღლესი ფენის მამაკაცთა წინდაცვეთისა.

პროფესორი ჯეფრი ოლდერმანი, ბრიტანეთის ისტორიის სპეციალისტი, მიიჩნევს: ის ფაქტი, რომ ბრიტანეთის პრინცებს, სამეფო ოჯახის წევრებს წინდაცვეთას უკეთებენ და ამ ოპერაციისათვის ებრაელს — მოელს მიმართავენ, ყველა დეკლარაციაზე უფრო მეტად მეტყველებს ელისაბედ II-ის დამოკიდებულებაზე იუდაიზმისადმი. ოლდერმანი მიიჩნევს, რომ დედოფალს არავითარი წინააღმდეგობის გრძნობა არ გასჩენია, როდესაც მისი ქალიშვილი — პრინცესა ანა — ებრაელ ტიმოთი ლოურენსს გაჰყვა ცოლად.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ელისაბედ დედოფლის დიდი ბუბის ვიქტორიას (ტახტზე ავიდა 1837 წელს) ეპოქიდან მოყოლებული, სამეფო ოჯახისათვის სრულიად უცხო გახლდათ ანტისემიტიზმი. შესაძლებელია გამონაკლისი იყო დღევანდელი დედოფლის ბიძა ედუარდ VIII, რომელიც ტახტზე რამდენიმე თვე იჯდა. როგორც მიიჩნევენ, მას უფრო იმიტომ აიძულეს ტახტის დატოვება, რომ ნაცისტებისადმი სიმპათიები აღმოაჩნდა, ვიდრე იმის გამო, რომ ქმარს გაყრილ ამერიკელ ქალზე — უოლის სიმფსონზე იქორწინა.

ბრიტანელი მწერალი სებაგ მონტეფიერე მიიჩნევს, რომ ისტორიულად სამეფო ოჯახი ებრაელებს მეგობრულად ექცეოდა. როგორც ჩანს, სებაგ მონტეფიერემ ეს ამბავი ყურმოკვრით არ იცის: დედოფალმა ვიქტორიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოჩენილ ებრაელ ფილანტროფს მოხეს მონტე-

ფიორეს რაინდის ნოდება და სერის ტიტული უბოძა. დედოფლის დედამთილი — მისი მეუღლის დედა — პრინცესა ალისა ბერძენი 1994 წელს მსოფლიოს მშვიდობის მოციქულად იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ათენში რამდენიმე ებრაელის ოჯახი გადაარჩინა.

ბრიტანელი ებრაელები უმეტესწილად მონარქისტები არიან. გამონაკლისს წარმოადგენს The Guardian-ის მიმომხილველი ჯონათან ფრიდლენდი — ავტორი წიგნისა, რომელშიც საუბარია მონარქიის გაუქმებაზე და მმართველობის რესპუბლიკურ ფორმაზე გადასვლაზე.

თუმცა, არის ერთი გარემოება, რაც ბრიტანეთის ებრაელებს აწუხებთ: ელისაბედ II არასოდეს ყოფილა ისრაელში, ხოლო პრინცმა ჩარლზმა ერთხელ იმოგზაურა ებრაულ სახელმწიფოში. მაშინ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ვიზიტი კერძო ხასიათის არისო. ებრაულ თემში ზოგიერთი შიშობს: როდესაც ბრიტანეთის ტახტს პრინცი ჩარლზი დაიკავებს, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი ისრაელის პოლიტიკის მიმართ, ისრაელისა და ნისლიანი ალბიონის ურთიერთობა შეიცვლება. თუმცა, პრინცის მეგობრები: მსახიობი სტივენ ფრაი და მწერალი სებაგ მონტეფიერე ამტკიცებენ, რომ მონარქი ისრაელისადმი ძალიან მეგობრულად არის განწყობილი. „მის უმაღლესობას“ სპეციალური ცისფერი ხავერდის „კიპაც“ კი აქვს, რომელსაც იგი ხმარობს, როცა ებრაელთა ქორწილებში დადის.

ბრილიანტის იუბილის წინა დღეებში ბრიტანეთის მასიური ინფორმაციის საშუალებებში გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ პრინცი იულიამის მეუღლე — ქეთი მიდლტონი (მისი დედის ქალიშვილობის გვარის — გოლდსმიტი — მიხედვით) ებრაული წარმოშობისაა. ამასვე ამბობდნენ პრინცესა დიანაზეც. The Huffington Post-ი კითხულობდა „მეფეც და დედოფალიც ებრაელი? ასეთი რამ შეიძლება?“

